

სოფიო იმედაძე, მაია შიშინაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Sophio imedadze@atsu.edu.ge; maiashishinashvili@yahoo.de

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.29>

არაბულ-სპარსული წარმოშობის მცენარეთა სახელები სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით (8)

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“ მცენარეთა სახელები, არაბული ენა, სპარსული ენა

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“ წარმოდგენილ მცენარეთა სახელებს ავტორის მიერ მითითებული აქვს წარმომავლობა (სპარსულია, არაბულია, თათრულია, ქართული არ არის, სხვათა ენაა და ა. შ.), ზოგიც მითითების გარეშეა დატოვებული და მას ავტორი ქართულ სიტყვად მიიჩნევს.

სტატია წარმოადგენს ჩვენი კვლევის ბოლო, მე-8 ნაწილს, სადაც განვიხილავთ ქართული ალფაბეტის ყ - ჰ ასოებით დაწყებულ იმ მცენარეთა სახელებს, რომელთაც აღმოსავლური, კერძოდ არაბულ-სპარსული, ეტიმოლოგია უდასტურდება.

ყრდელი (ბალ.) ხასი ZAB. ნ: ველის-ყრდელი (საბა 1993: 270).

ველის-ყრდელი (12, 8 გამოსლ.) ყრდელი მხალი არს (+ რომელ არს A) ხასი, რომელსა თურქნი ქ ა უ ს უწოდენ. ხოლო ველური ყრდელი მას მიჰგავს და ვენაცის ღიჭასა და მწარეა ZA (საბა 1991: 261).

ყრდელ-ი (ყრდლისა) იგივეა, რაც სალათა (ქეგლ).

ყრდელის ამოსავლად მიგვაჩნია არაბულ-სპარსული *hardal* (حارث) ლექსემა. ძველი ქართული ენის ლექსიკონში ყრდელის სინონიმად მოყვანილია მდოგვი, ხოლო XII-ის სამკურნალო ტიპის კარაბადინში მდოგვის სინონიმია ხარდალი - სპარს. ხარდალ მდოგვი (უსწორო კარაბადინი 1940: 533). ქართლურ, კახურ და აჭარულ დიალექტებში მდოგვის მნიშვნელობით გამოიყენება არაბული ხარდალ(ი) ფორმა (ალ. ღლონტი 1984: 740).

მდოგვი, მდოგვის თესლი. გარკვეული ხის მარცვალი. კარგად ცნობილი სახეობა. გამოიყენება რადიკულიტის სამკურნალოდ გარეგანი გამოყენებისას. კარგია ალოპეციისთვის. მისი კვამლი აფრთხობს გველებს, შხამიან და მავნე ქვეწარმავლებს. მისი წვენი/ ზეთი ყურში ჩაწვეთებისას აყუჩებს ტკივილს. ეფექტურია კბილის ტკივილის დროს. გამოიყენება ასევე საკვებად. *al-hardal al-fārisiyy* (الخرال الفارسي) მცენარე ეგვიპტეში, ცნობილია, როგორც სულთნის ჰაშიში *ḥašīš s-sultān* (حشيشة السلطان) (ლეინი 1865: 721).

სპარსული ლექსიკონების მიხედვით ძირითადად არაბული ეტიმოლოგია უდასტურდება: *hardal* (حارث) კომბოსტოსებრთა (ჯვაროსანთა) ოჯახის მცენარე, რომელსაც ორი სახეობა გააჩნია: თეთრი და შავი. მისი ფოთლები ჰგავს თაღგამის ფოთლებს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. მას აქვს ყვითელი ყვავილები, ყავისფერი, წვრილი თესლი და

პიკანტური, ცხარე გემო. მის დანაყულ თესლს წყალში ან ძმარში ხსნიან და აკეთებენ სოუსს და საჭმელთან ერთად მიირთმევენ მადის გასაძლიერებლად (მოინი 1375: 1408), სპარსულში მას ასევე უწოდებენ: *esfān* (اسفان), *esfandān* (اسفندان), *sefandān* (سفنندان), *sefandīn* (سفنندین), *fatarśīn* (فترسین), *fatarśīn* (فترشین) და *āhūrī* (اھوری) (ომიდი 1389: 1004; რუბინჩიკი 1964: 546; ენსაფფური: 368; დეჰხოდა 1342: 9672).

საბასეული ყრდელის განმარტებაში *ხასი* ფორმაც მომდინარეობს არაბული *ḥass* (حس) ლექსემიდან სალათის მნიშვნელობით (ჯონსონი 1852: 522).

არაბ. ხარდალ > ყარდალი > ქართ. ყრდელი ფონეტიკური ტრანსფორმაცია, სავარაუდოდ, ლექსემის შემოსვლის ზეპირ გზას მიაწვდის.

შაშპრა (შაშპრა, შაშკვლა)

(ბალ.) რეჰანი ZA. (ბალ.) BC. (ბალ.) შაშკვლა და შაშპრა ორივე რეჰანია ნ. რეჰანი (საბა 1993: 281).

Rus. базилик огородный, души, васильки; *L. Ocimum basilicum* L.; კახური – რიანდი; იმერული – შაშკვლამი; გურული, აჭარული – შაშტამი, შეშტრამი, შაშტრამი, ჟაშკვლამი; სულხან-საბა – ორბელიანი – შაშპრა; ინგილოური – რეჰანდ; ჭანური – რეჰანი; მეგრული – სამშურე, საშურამი, შაშურამი (ალ. მაყაშვილი 1961). შაშპრა - რეჰანი (ქეგლ; ქილილა და დამანა 1940: 1035).

L. ბასილიკუს B.Turk. რეჰან ZaaBC რეჰნი E (შაშპრა, შაშკვლა C) (ბალ.). შაშკვლა და შაშპრა ორივე რეჰანია (საბა). შაშკვლავი - რეჰანის ერთ-ერთი სახეობა. რეჰანის ფოთლებს მუქი შინდისფერი ელფერი დაჰკრავს და უფრო დიდია, შაშკვლავის ფოთლები ერთფერია - მწვანე, გრძელი, უფრო მძაფრი სუნი აქვს (ქ. ძოწენიძე 1974: 433). *ḥuṣḥaram* (خشخارم) არაბიზებული ფორმა. რეჰანის სახეობის მცენარე. შედგება *ḥṣ* (არაბ. *ḥayṣ*) + *asbaram* (არაბ. *reyḥān*) (ალ-თუნჯი 1988: 69). *ḥuṣḥaram* ველური მცენარე (რეჰანი). არა არაბული. სპარსულია (ლისანუ ლ-‘არაბ; ალ-მუჰიტ).

სპარსულ ლექსიკონებში დასტურდება რანდენიმე პარალელური ფორმა: *šāh separegam* (شاه سپرغم) // *šāh sepram* (شاه سپرم) // *šāh esparegam* (شاه اسپرغم) - მწვანე რეჰანი (მოინი 1375: 2009; რუბინჩიკი, 1964: 88; ომიდი 1389: 1524; ენსაფფური 1377: 619; დეჰხოდა 1342: 14081).

არაბ.-სპ. შაჰსეფრამ > შასეფრამ > შაშფრამ > შაშპრა (ს/შ, ფ/პ) ფონეტიკური ტრანსფორმაცია მიაწვდის ლექსემის დამკვიდრების ზეპირ გზას.

შრეში (ბალ.) თიორში Z. (ბალ.) თიოში AB. (ბალ.) CDE (საბა 1993: 307).

შრეში-ი (შრეშისა) [*Eremurus spectabilis*] 1. ბოტან. ქვიანსა და ხრიოკ ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; აქვს მაღალ ღეროზე მტევნად თავმოყრილი მოყვითალო ყვავილები და ფესვის ყელთან შეკრებილი მოგრძო ფოთლები, იხმარება მხლად. 2. ამ მცენარის ფესვებისაგან დამზადებული ფხვნილი. || ამ ფხვნილისაგან გაკეთებული წებო, რომელიც იხმარება ტყავისა და მატერიის დასაწებებლად (ქეგლ). Rus. череш, алтайская чалма, *L. Eremurus spectabilis* M. B. (ალ. მაყაშვილი 1961).

შრეშის ბალახი, რომლის ძირიც წამლად იხმარებოდა. *Eremurus spectabilis* M.B. (უსწორო კარაბადინი 1940: 528); (იადიგარ დაუდი 1938: 730). შრესი მიწა – ფხვიერი, მშრალი მიწა = ეს ნიადაგი უნდა იყოს ფხვიერი (ქ. ძოწენიძე 1974: 442).

srās (سراس) უბრალო ხალხი მას სრიშ-ს ეძახის. კარგად ცნობილი მცენარე. მისი ფოთლები ჰგავს სირიული პრასის ფოთლებს. გლუვი ღერო აქვს და ბოლოში ყვავილი. აქვს

გრძელი მრგვალი ფესვები, რომელიც ფორმით დიდ მუხას ჰგავს. მისგან წებოს მოიპოვებენ, რომელსაც მეწაღეები იყენებენ (მცენარეთა ლექსიკონი).

სპ. *serīš* // *sereš* (سريش) შროშანისებრთა ოჯახის მცენარე, აქვს მოკლე ღერო და გრძელი, წვეტიანი ფოთლები, მტევნისებური ყვავილები, უხეში ფესვი. იზრდება ირანის მთებში. მის ძირებს აშრობენ, ფქვავენ და ქაღალდისა და ზოგიერთი სხვა მასალის დასაწებად გამოიყენებენ (ომიდი 1389: 1432; მოინი 1375: 1880; ენსაფფური 1377: 577; დეჰხოდა 1342: 13641).

სპ. სერეშ > ქართ. სრეში > შრეში - სავარაუდოა ამ ლექსემის წერილობითი გზით დამკვიდრება.

ძირაკი (ბალ.) (+ 23, 23 მათე ZAB) ზირა ZABCD (საბა 1993: 354).

ძირაკი - იგივე ზირა (ქეგლ; უსწორო კარაბადინი 1940:530).

ზირა - სპ. ზირა - კვლიავი (მცენ). *Carum Carvi* L. (იქვე) ძირაკი თეთრისა წყალი *Aqua Carvi Albi*; ძირაკის წყალი - იგივე ზირას წყალი.

სპ. *zīra* // *zīre* (زیره) ქოლგოსანთა ოჯახის მცენარე, ერთწლიანი, მისი სიმაღლე 40 სმ-ს აღწევს. მისი სამშობლო ეგვიპტე და ნილოსის სანაპიროებია, ასევე მოჰყავთ ირანში... (მოინი 1375: 1771). შდრ. სპ. *zīra* (زیره) ბალახოვანი მცენარეა ერთწლიანი, აქვს მწვანე ღერო და წვრილი, ჩაჭრილი ფოთლები, პატარა თეთრი ყვავილები, წვრილი და გრძელი ფესვი. მისი თესლი წვრილი და სურნელოვანია და გამოიყენება ზოგიერთი საჭმლის გასასურნელებლად. მოჰყავთ ირანის უმეტეს რაიონში. ცნობილია ქერმანული ძირა (ომიდი 1389: 1340; ენსაფფური 1377: 539; დეჰხოდა 1342: 13095).

ფალ. ზირაჟ > სპ. ზირა//ჟირა > ძირაკი//ძირა//ზირა თანხმოვანთა სრული დაცვითაა შემოსული ქართულ ენაში.

ჭადარი // ჭანდარი; ჭადარი ხე ჯავარიანი Z. ჯავარდარი Aa. ნ: ჯავარი, 2. შდრ. ჭანდარი (საბა 1993: 397). ჭანდარი (ხე) (+ 24 ზირაჟ ZAa) ZABCD. შდრ: ჭადარი (საბა 1993: 398).

ჭადარ-ი (ჭადრისა) [*Platanus*] ბოტან. მაღალი, ვარჯდატოტვილი ხე; ქერქი ნაცრისფერი აქვს, ზაფხულობით ფირფიტებად სძვრება; ფოთლები თათისებრ დანაკვეთულია, ყვავილები—ერთსახლიანი, ბურთივით მრგვალ თავაკებად თავმოყრილი და გრძელ ყუნწზე დაკიდებული (ქეგლ). (чинар, платан, *Platanus*), ქართლური, კახური, მეგრული— ჭანდარი. ს.ს. ორბელიანი ჯავარი. იუსტ. აბულაძე – ჩინარი. სინონიმ – ჯავარი (ალ. მაყაშვილი 1961:260). ჭანდარი – *Platanus Orientalis* L. (იადიგარ დაუდი 1938: 733). ჭანდარი – ჩინარი, ტანად ჩვენებური ძელ– ქვასა ჰგავს, ოღონდ უფრო ფართო და ჩალის ფერი ფოთოლი აქვს (შაჰ–ნამე 1916: 843).

ğinār (جینار) – ჩინარი. არაბიზირებული ფორმა სპ. *čenār* (چنار)-იდან. არაბულში ასევე გვხვდება *šinār* (شنار) ფორმაც (ალ. თუნჯი: 60).

čenār // *čanār* [= *čenāl* (چنار), ფალაური: *činār*] ჭინჭრისებრთა ოჯახის ერთ-ერთი ლამაზი და გამძლე ხე. მისი ღერო ძალიან სქელია, სიმაღლე - 30-40 მეტრი. ჩინარი დიდ ფართობზე შლის ტოტებს და ფოთლების ჩრდილს (მოინი 1375: 1314; რუბინჩიკი 1964: 476).

უნაყოფო ხეა. აქვს ფართე ფოთლები, მისი მაღალი ვარჯი 30მ-ს აღწევს და ხშირი დატოტვილ-დაფოთლილია, ამიტომ დიდი ჩრდილი აქვს (ომიდი 1389: 899; ენსაფფური 1377: 617; დეჰხოდა 1342: 8258).

ფალ. ჩენარ > სპ. ჩენარ//ჩანარ > ჩანდარ > ქართ. ჭანდარი//ჭადარი.

ხაშხაში (ბალ.) სხვათა ენაა, ქართულად ყაყაჩორა ჰქვიან ZAB. (ბალ. უკმ.) CD. ნ: ყაყაჩორა (საბა 1993: 419).

ხაშხაში-ი (ხაშხაშისა) [სპარ. ხაშხაშ „ყაყაჩო“, „ყაყაჩოს თესლი“] 1. [Papaver somniferum] ბოტან. ერთწლიანი მცენარე ყაყაჩოსებრთა ოჯახისა; აქვს მსხვილი, სხვადასხვა შეფერვის ყვავილი; მოუმწიფებელი ნაყოფის (კოლოფის) რძიანი წვნისაგან მოიპოვებენ ოპიუმს, თესლისაგან–მაღალი ხარისხის ზეთს (ქეგლ). *Rus.* мак снотворный; *L.* Papaver somniferum; კახური – ღაჟღაჟი; სულხან-საბა-ორბელიანი – ყაყაჩორა; დავით ჩუბინაშვილი – ყაყაჩოვარა, მიკონის მცენარე; ქვემოიმერული – ძილიგუდა (ალ. მაყაშვილი 1961).

ხაშხაში – სპარსული სახელი არის, ქართულად ყაყაჩოსა ეწოდება, ფრანგიცულად le paveau ანუ pavot (თ. ბაგრატიონი 1979: 160). სპარს. ხაშხაშ ყაყაჩო *Papaver* (უსწორო კარაბადინი: 534). აქვეა ხაშხაშის თესლი, ხაშხაშის ქერქი, ხაშხაშის ფურცელი, ხაშხაშის შარბათი. *ħašħaš/خشخاش* ქუნარი, ყაყაჩო *Papaver L.* (იადიგარ დაუდი 1938: 733. სპარს. *خشخاش / ħašħāš* ხაშხაშ–ყაყაჩო (შაჰ–ნამე 1916: 845). ორ. ხაშხაშ – ოპიუმის ყაყაჩო. ხეზი, საბელი, წვრილი თოკი (ქილილა და დამანა 1940: 1038).

არაბ. *ħašħāš (خشخاش)* მცენარე, რომელსაც აქვს თეთრი “თავეები”, გვირგვინი. ის არის გამაბრუებელი და დამადინებელი. ალ–ბურჰან ალ–კატი’ში ნამთქვამია, რომ ხაშხაში რამდენიმე სახეობისაა: თეთრი, შავი, ქაფისებრი და ხარის რქის მაგვარი.

თეთრი სახეობა ბაღისაა, მას აქვს თეთრი ყვავილი, მისი მირთმევა თაფლთან ერთად აღძრავს სურვილს, ნდომას. შავ სახეობას თესლი აქვს შავი, თავი პატარა, მას აგრეთვე უწოდებენ ეგვიპტურ ხაშხაშს. მისი რძისგან მზადდება ოპიუმი. ღვინოსთან ერთად მისი მიღება კარგია ფაღარათის დროს. აზიანებს ტვინს (ხაშხაში: 55). ის გამაბრუებელი და დამადინებელი ეფექტის მქონე მცენარეა (ალ–თუნჯი 1988: 68). *-a(t)* მარკერიანი *ħašħāš-a(h)* (*خشخاشة*) ფორმა იგივე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი ლეინის ლექსიკონშიც (ლეინი 1865: 740).

სპ. *ħašħāš (خشخاش)* ყაყაჩოსებრთა ოჯახის მცენარე წვრილი ღეროთი და გრძელი, სქელი ფოთლებით. მისი ყვავილები თეთრია. სიმაღლე 1მ-მდე აღწევს. ხაშხაშის ნაყოფი კოლოფია, ფოთლების დაცვენის შემდეგ იქედან ყვავილი იშლება, ცენტრი კი სავსეა პატარა თეთრი თესლით, რომელსაც საჭმელად და ზეთის გამოსახდელად იყენებენ. მისი მწიფე კოლოფის კანს რომ ჩამოთლიან, იქედან თეთრი წვენი გადმოდის, რომელიც გაშრობის შემდეგ ყავისფერი ხდება. სწორედ მას უწოდებენ თრიაქს. ხაშხაშის თესლში არის ალკალოიდები, როგორიცაა მორფინი, ნარკოტიკი და სხვ. (მოინი 1375: 1422; რუბინჩიკი 1964: 554; ომიდი 1389: 1020; ენსაფფური 1377: 376; დეჰხოდა 1342: 9808).

არაბ. ხაშხაშ > სპ. ხაშხაშ > ქართ. ხაშხაში. თანხმოვანთა და ხმოვანთა სრული დაცვითაა ქართულში შემოსული.

ხიაშამზარი ნ: ირეოსი] (საბა 1993: 422).

ირეოსი (30, 24 გამოსლ.) კასია ZABCb. (30, 24 გამოსლ.) კასია. *ხიაშამზარი* ლათინურად, ხოლო ელენურად – *დარიჩინ* Ca. კასია CqD. *გამოსლ.*: “კალამი, ირეოსი, სთველი და ქალბანა” E. ნ. კასია (საბა 1991: 333).

ხიარი შამზარი – იგივე ხიარი ჩამზარი (სპ. ხიარი ჩანზარ განსაკუთრებული ჯიშის გრძელი და წვრილი კიტრი *Fructus Cassiae Fistulae* მცენარისაგან *Bactyrilobium Fistula Willd* (უსწორო კარაბადინი 1940: 535). ხიარ შამზარა – არაბ. *خيار چنبر* ხიარ ჩანზარ – ერთგვარი ჯიშის გრძელი მომრგვალო კიტრი (იადგარ–დაუდი 1938: 734).

hīār šambār (خيار شمبار) არაბიზებული ფორმაა სპ. *hīār čanbar* (خيار چنبر)-სა (The cassia fistula of Linn). კარგად ცნობილი ხე, რომელიც ატმის ხეს ჰგავს. განსაკუთრებით იზრდება ალექსანდრიასა და ეგვიპტეში. აქვს შესანიშნავი ყვითელი ყვავილი (ლეინი 1865: 830). *hīār šanbār* (خيار شنبر) არაბიზებული ფორმაა სპ. *hīār čanbar* (خيار چنبر)-დან კიტრის ჯიშში, თეთრი ღარებით, მრუდე მორკალული ან სწორი ფორმის. შდრ. საკუთრივ სპარსული პარალელური ფორმა *hīār šanbār* (خيار شنبر) (ენსაფფური 1377: 403; მოინი 1375: 1466; ომიდი 1389: 1063; დეჰხოდა 1342: 10176).

სპ. ხიარჩამბარ > არაბ. ხიარჩამბარ > ქართ. ხიამამბარი. სონორი რ-ს ამოვარდნა ზეპირ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო ქართულში.

ხურმა (ხე) არაბთ(ა) ენაა, ქართულად დანაკის-კუდი ჰქვიათ ZAB. ნ: ფინიკი, 2. ხუმლა (საბა 1993: 435).

უმეველეს წყაროებში ხურმის ნაცვლად გვხვდება ფინიკი - „ფანაკ (ერთგვარი ხურმა) აღიღეს რტოები ფანაკისად“ (ქართული ოთხთავის სიმფონია 1948: 596), ფინიკი მოყვანილია „რუსუდანთანში“ (1957: 798), სამედიცინო ხასიათის წიგნებში „წიგნი სააქიმოდ“: ხურმა - ირან. **خرما** ხურმა- ფინიკი, იმერული ხუმლა, ხურმის ნაყოფი, *Diospirus Lotus*. („წიგნი სააქიმოდ“ 1936: 338), „იადიგარ დაუდსა“ და „კარაბადინშიც“ ხურმა სპარსული წარმომავლობისაა - ხურმა, **خرما** ფინიკი, იგივე ხურმა, *Dactyli* მცენარისაგან. სპარსულადაა მიჩნეული აღნიშნული ტერმინი „შაჰ-ნამეში“; ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან.

„დანაკისკუდი დანათსკუდი - თამარინდსა ჰქვიათ, რომელ არს ინდური ტყეშალი“ (სამკურნალო წიგნი 1986: 88). „თამარინდი“ თავისთავად მომდინარეობს არაბული **تمر هندي**/tamaru hind ინდური ფინიკი“ (ბარანოვი 1984: 105).

„მამათა ცხოვრებანი“, რომელიც XI საუკუნის ძეგლია და სავსე უნდა იყოს არაბული ტერმინებით, არც ფინიკი და არც ხურმა არ გვხვდება, მხოლოდ დანაკისკუდი (მამათა ცხოვრებანი 1975: 475). აღნიშნული ლექსემა არც გირგასის ლექსიკონში არ დასტურდება, რაც სავარაუდოდ, ქართულში ხურმას მოგვიანო პერიოდში სპარსულიდან შემოსვლაზე მიუთითებს.

სპარსული წარმომავლობისადაა მიჩნეული იგი სპარსულ ლექსიკონებში: *hurma* (خرما) - ფალაური *xurmāk*, ფინიკის პალმა. სუბტროპიკული ხე, რომლის ნაყოფი ხორციანია, მაგარი კურკა და თხელი კანი აქვს. ძალიან ტკბილი და გემრიელია. ნაყოფი ხეზე მტევნის ფორმით ეკიდება. 50-75% შაქარია. შეიცავს პეტასიმს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, A, B და ცოტა რაოდენობის C და E ვიტამინებს. მისი საკვები ღირებულება ძალიან დიდია... მისგან ამზადებენ ღვინისა და არაყის სახეობებს... ფინიკის პალმა იზრდება სუბტროპიკულ ქვეყნებში, ირანში - ქერმანში, ბელუჯისტანში, აჰვაზში, აბადანში და ხორამშაჰში (ომიდი 1389: 1010; მოინი 1375: 1413; რუბინჩიკი 1964: 549; ენსაფფური 1377: 371; დეჰხოდა 1342: 9716).

სპ. ხორმა > არაბ. ხურმა > ქართ. ხურმა თანხმოვანთა და ხმოვანთა სრული დაცვითაა ქართულში შემოსული.

ჯადვარი (ბალ.) ZABCD (საბა 1993: 449).

ჯადვარ-ი (ჯადვარისა) [სპარ.-არაბ. ჯადვარ] [Orchys] ბოტან. ფესვგამსხვილებული ბალახოვანი მცენარე; აქვს მარტივი ღერო, მეტწილად დაბალი, ლამაზი, დეზიანი, თავთავად შეკრებილი ყვავილები; იზრდება ტყისპირებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე (ქეგლ). ჯადვარი - ჯადვარი, ორქიდეა. (ятрышник, кукушкины слезки, орхидея; Orchis)

კახური გულფიტვა, გულფიტვის ბალახი, მთიულური კაციხელა, რაჭული ხუთთითა, ცხრაითთა (ალ. მაყაშვილი 1961: 260).

ḡadvār (اڭدوار) = ḡadvār (اڭدوار), არაბიზ.: zadvār (اڭدوار) მცენარე, რომელიც იზრდება ტიბეტისა და ინდოეთის მთებში და ხორასნის ზოგიერთ რაიონშიც... გამოიყენება მედიცინაში, როგორც მატონიზირებელი საშუალება. ასევე ხმარობენ ლიქიორების დასამზადებლად. მწარე გემო აქვს. ძველ მედიცინაში ჯადვარი გამოიყენებოდა ნებისმიერი სახის საწამლავის და შხამის საწინააღმდეგოდ (ომიდი 1389: 804; მოინი 1375: 1218; რუბინჩიკი 1964: 431; ენსაფფური 1377: 271; დეჰხოდა 1342: 7564).

სპ. ჯადვარ > არაბ. ჯადვარ//ზადვარ > ქართ. ჯადვარი, თანხმოვანთა და ხმოვანთა სრული დაცვითაა ქართულში შემოსული.

ჯავზი (ხე) ხეხო ZAB (საბა 1993: 449).

ჯავზი-ი (ჯაეზისა) [არაბ. ჯავზ „ნიგოზი“, „კაკალი“] 1. [Myristica moschata] ბოტან. ტროპიკულ აზიაში გავრცელებული ხე; აქვს მარადმწვანე ფოთლები და წვრილი ორსახლიანი თეთრი ყვავილები; ნაყოფი მსხვილია, ხორცოვანი, ყვითელი, გარეგნულად ატმის მსგავსი, ერთკურკიანი. 2. ამ მცენარის თესლი; მეტად სურნელოვანი; ცხარე, სასიამოვნო გემო აქვს; ამის გამო ფართოდ იხმარება კულინარიაში, საშაქარლამოებსა და მედიცინაში (ქეგლ). რუს. мускатник. муск. Opex L. Myristica moschata; ს.ს.ორბელიანი– ხეხო (ალ.მაყაშვილი 1961: 260).

ჯავზი – არ. ჯავზ ნიგოზი, ბერძნული კაკალი Nuces luglandis Regiae მცენარისაგან Luglans Regia L. (იადიგარ დაუდი 1938: 734). ჯავზი – ჰინდი არაბ. ḡavz/ جافز ჯავზი ნიგოზი და هندی/hindī ინდური. აქედან هندی جافز ჯავზ ჰინდი – ქოქოსის ნიგოზი (წიგნი სააქიმოი 1936: 338). جافز (<სპარს.) კაკალი, ნიგოზი (გ. წერეთელი 1951). სპ. ხეხო – муск. Opex (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1976). არაბიზებული ფორმა جاف/ḡūz სპარს. کاف/kūz ფორმიდან (ალ-თუნჯი 1988: 62). ცნობილი ნაყოფი არაბ. كاف is და მისგან თურქული كاف. არამეული, ქურთული და სომხური ფორმები ახლოს დგანან ლათინურ nux-თან (ბაშბიში: 48). არაბიზებული, სპარსული წარმომავლობის სიტყვაა ლეინთანაც, კარგად ცნობილი ხილი, რომელიც უხვად იზრდება არაბთა მიწაზე. ელ-იემენის პროვინციაში, სადაც ის ნაყოფს იძლევა და კულტივირებულია (ლეინი 1865: 485). სპარსული წარმომავლობისაა მუნჯიდის ლექსიკონშიც იგივე მნიშვნელობებით (ალ-მუნჯიდი 1996: 237).

jawz//jouz (جوز) [არაბიზ.: جوز (გოუზ), ფალაური: goz] ნიგოზი, კაკალი, მუსკატის კაკალი (მოინი 1375: 1252; რუბინჩიკი 1964: 449; ომიდი 1389: 838; ენსაფფური 1377: 288; დეჰხოდა 1342: 7901).

სავარაუდოა ამ ლექსემის არაბულიდან დამკვიდრება ქართულში წერილობითი გზით. სპ. გავზ//გოუზ// > არაბ. ჯავზ > ქართ.ჯავზი.

ჰულბაი (ბალ.) ულბო ZAB. ნ: ულბო (საბა 1993: 468).

ულბო (ბალ.) ZABCD. (ბალ.) სოლინჯი E. ნ: ჰულბაი (საბა 1993: 160). ულბო (ულბოსი) ბოტან. იხ. შამბალილა. ულბო ჰგავს სამყურა ბალახს (ქეგლ). ულუბო (пажитник голубой, гуньба, сырозелье; Trigonella coerulea (Dsr.) Ser.) გურული, იმერული – სუნელი, უცხო სუნელი; ქვემოიმერული – ხმელი სუნელი; აჭარული – სურნელი ბალახი; მეგრული – ურცხო სუნელი (ალ. მაყაშვილი 1961). ჰულბას თესლი - ულბოი გარეული ქინძი. Faenum Grecum (იადიგარ-დაუდი 1938: 736). Пажатник, тригонелла - მარცვლეული, რომელიც იჭმევა. ასევე წარმოითქმის حلب/huluba მცენარე, რომელსაც აქვს ყვითელი მარცვალი, გამოიყენება ასევე მედიცინაში. მოჰყავდათ და ჰამდნენ. მედიცინის კუთხით,

კარგია გულმკერდის დაავადებების დროს, ხველების, ასთმის, ნახველისა და ბუასილის სამკურნალოდ. ზურგის, ღვიძლისა და შარდის ბუშტის სტიმულატორი (ლეინი 1865: 624). მცენარე პეპლისებრთა ოჯახიდან. დიდი ნაწილი ველურია, ნაწილი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. წარმოშობით ახლო აღმოსავლეთიდანაა. ჩვეულებრივ, თეთრი ფერისაა, თუმცა გვხვდება ყვითელი, ჟოლოსფერი და იისფერი. იყენებენ სამკურნალოდ (ალ-მუნჯიდი 1996: 314).

არაბული წარმომავლობისაა სპარსული ლექსიკონების მიხედვით: hulba (حلبة) სოლინჯი, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე 30-50 სმ სიგრძის, რომელიც მოჰყავთ ხმელთაშუა ზღვის რაიონებში, საბერძნეთში, ირანში, მცირე აზიაში და ეგვიპტეში. მისი ყვავილი ერთეულია და მოთეთრო, ღია ყვითელი ან იისფერი. მცენარის ნაყოფი მოხრილია 3-10 სმ სიგრძის და შეიცავს 5-10 თესლს. თესლი კუთხოვანია და 4-6 მმ სიგრძის და 2-3 მმ სიგანის. მარცვლის ფერი ყვითლიდან ყავისფერამდე მონაცვლეობს. აქვს მძაფრი სურნელი და მომწარო, არომატული გემო (მოინი 1375: 2081; რუბინჩიკი 1964: 515; ომიდი 1389: 1577; ენსაფფური 1377: 343; დეჰხოდა 1342: 9077).

არაბ. ჰულბა > ქართ. ჰულბა(დ). სრული ფონეტიკური თანხვედრითაა დამკვიდრებული ქართულში, წერილობითი გზით.

ლიტერატურა:

1. აბულაძე, ი., (1973): ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. აბულაძე, იუსტ., (1916): შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. აბულაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ქართლი“.
3. ალ-თუნჯი (1988): معجم المعربات الفارسية في اللغة العربية. دمشق: التونجي م.
4. ბაგრატიონი, თ., (1979): წიგნი ლექსიკონის, თბილისი: „მეცნიერება“.
5. დეჰხოდა, ა., (1342): دهخدا علی اکبر، لغت نامه دهخدا، مؤسسه انتشارات دانشگاه تهران
6. ენსაფფური, დ., (1377): انصاف پور غلامرضا، کامل فرهنگ فارسی (یا فرهنگ دری برای ملل ایرانی: تاجیک، افغان، خوارزم، فارسی زبانان از بنگال و هند و پاکستان تا قفقاز و آسیای غربی کرد). تهران.
7. იადიგარ-დაუდი (1938): ლადო კოტეტიშვილის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბილისი: „საქ. ბიომედიკამი“.
8. ლეინი, ე. ვ., (1865-1893): Lane E.W., Arabic-English Lexicon, „Frederick Ungar Publishing Co.“ New-York.
9. მაყაშვილი, ალ., (1961): ბოტანიკური ლექსიკონი. მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
10. მოინი, მ., (1375): معین، محمد. فرهنگ فارسی (متوسط). مؤسسه انتشارات امیر کبیر. تهران.
11. მუნჯიდი (1996): المنجد في اللغة العربية المعاصرة. بيروت
12. ომიდი, ჰ., (1389): عمید حسن، فرهنگ فارسی عمید، انتشارات مجید
13. რუბინჩიკი, ი., (1964): Рубинчик Ю. А. Персидско-русский словарь, I, II, Москва: изд. «Русский язык».
14. ორბელიანი, ს-ს., (1991, 1993): „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, II, თბილისი; „მერანი“.
15. ქეგელ (1950-64): ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I-VIII (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
16. ქანანელი, (1940). უსწორო კარაბადინი. ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა. თბილისი: „საქმედიკამი“

17. ქილილა და დამანა (1940): „ქილილა და დამანა“ სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალითოდ. თბილისი: გამომცემლობა: „მერანი“.
18. ჩუბინაშვილი, დ., (1984): ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
19. ძოწენიძე, ქ., (1974): ზემოიშვრული ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.
20. წერეთელი, გ., (1951): არაბულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: თსუ გამომცემლობა
21. წიგნი სააქიმოდ (1936). კოტეტიშვილი ლ. „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე“. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, სამედიცინო სექტორი.
22. ჯონსონი, ფ., (1852) - Jonson F. (1852), A Dictionary Persian, Arabic and English. London: Published under the Patronage of the Honourable East-india company.
23. <https://www.almaany.com/>

Sophio Imedadze, Maia ShiShinashvili

Akaki Tsereteli State university

Kutaisi Georgia

Sophio imedadze@atsu.edu.ge; maiaishishinashvili@yahoo.de

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.29>

The names of the Arab-Persian origin plants according to Sulkhan-Saba Orbeliani “Georgian Dictionary” (8)

Abstract

There is a vocabulary of oriental origin, the plant names that are sorted by the author, next to the word according to species (tree, grass, flowers) in Sulkhan-Saba Orbeliani's "Georgian Vocabulary".

As with other lexical units, Sulkhan-Saba points to the origin of different plants (Persian, Arabian, Tatar, not Georgian, other language, etc.), some are left without reference and the author considers them as a Georgian word.

The aim of the work is to identify the names of Arab-Persian origin plants in Sulkhan-Saba Orbeliani's "Georgian Vocabulary", to indicate their etymological origin and ways of settlement in Georgian language. This paper is the last, eighth part of our study. The names of plants beginning with the letters of the Georgian alphabet “**sh - h**”, which are confirmed by the Eastern, in particular, Arabic-Persian etymology.

In this regard we will study Georgian-Eastern linguistic relations. All lexical items will be checked in the etymological dictionaries of the respective languages and dialects, we will determine and use the phonetic regularities that are bases of the phonetic conclusions of the vowels and consonants between the words of the unrelated languages.

Key words: Sulkhan-Saba Orbeliani, “Georgian Dictionary”, Plants, Persian, Arabian Persian, Arabian Languages.